საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-265

20/04/2018

ქ. თბილისი

შპს ,,რუსთავის წყალის“ მდინარე ხრამზე დროებითი ნაპირსამაგრის მოწყობის პროექტის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს ,,რუსთავის წყალის“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია მდინარე ხრამზე დროებითი ნაპირსამაგრის მოწყობის სკრინინგის განცადება.

შპს ,,რუსთავის წყალი'', ახორციელებს ხრამის მიწისქვეშა საბადოს ექსპულატაცის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის (#1004158) შესაბამისად. მოპოვებული წყალი გამოიყენება მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის. აღნიშნული საბადო მოიცავს 28 ჭაბურღილს და 7 შახტური ჭას, საერთო მოპოვებით 34 000 000 $მ^3$/წ.

საბადოზე კომპანია ახორციელებს პერიოდულ მონიტორინგს, რაც გულისხმობს კონსტრუქციების მდგომარეობის შეფასებას. ზემოაღნიშნული მონიტორინგის დროს გამოვლინდა ჭაბურღილების ძლიერი მდინარისმიერი გამორეცხვა, რის გამოც ჭაბურღილების ფუნქციონირებას შეექმნა პრობლემა, რისი აღმოფხვრის გარეშეც შესაძლებელია ქ რუსთავის ნაწილი სასმელი წყლით წყალმომარაგების პრობლემის წინაშე შესაძოა დადგეს. ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე კომპანია „რუსთავის წყალს“ დაგეგმილი აქვს დროებითი ნაპირსამაგრი სამშენებლო საქმიანობის განხორციელება რაც ითვალისწინებს მდინარე ხრამის კალაპოტში ბეტონის კონსტრუქციების (2მ X 1მ X 0,6 მ. 50 ერთეული) ჩალაგებას და მდინარის ქვა-ღორღით ნაპირების დროებით გამაგრებას. სამუშაოს ხანგრძლივობა გაგრძელდება ორი კვირა.

სამუშაოების განხორციელების არეალში არ არის რაიმე სახის სამრეწველო ობიექტი. შესაბამისად სამუშაოების განხორციელების ეტაპზე, გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

სამუშაოების ჩატარება იგეგმება უშუალოდ მდინარის კალაპოტში. უახლოესი დასახლებული პუნქტებია სოფლები დიდი მუღანლო და ლეშბადინი. მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე 150მ-ია. სამუშაო არეალის ჰიფსომეტრიული ნიშნული 25 მ-ით დაბლაა უახლოეს დასახლებული პუნქტის ჰიფსომეტრიულ ნიშნულთან შედარებით.

მნებლობის ეტაპზე მოსალოდნელია მხოლოდ არასახიფათო ნარჩენის წარმოიქმნა, რომლის შეგროვება და ტერიტორიიდან გატანა მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერებში. სამუშაოები არ ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების გამოყენებას.

სამუშაოების ჩასატარებელ ტერიტორიაზე არ გვხვდება რაიმე სახის მცენარეული საფარი, რაც გამორიცხავს სამუშაოების პროცესში და შემდგომ ეტაპზე, მცენარეულ საფარზე რაიმე სახის ზემოქმედებას.
ატმოსფერულ ჰაერში ხმაურის გავრცელება და მავნე ნივთიერებების გაფრქვევა იქნება უმნიშვნელო და დროებითი ხასიათის, რაც ძირითადად გამოწვეული იქნება მძიმე ტექნიკის მუშაობით.
აღნიშნულ საქმიანობას არ უკავშირდება რაიმე სახის მასშტაბური ავარიის ან კატასტროფის რისკი. საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე (უახლოესი დაცული ტერიტორია გარაბნის აღკვეთილი 8 კმ-ით არის დაშორებული). დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში ტრანსასზღვრო და კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეების ძეგლი.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის 9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის და ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „რუსთავის წყალის“ ექსპლუატაციაში არსებული ჭაბურღილის მიმდებარედ დროებითი ნაპირსამაგრის მოწყობის პროექტი **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს ,,რუსთავის წყალი'' ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,რუსთავის წყალს'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,რუსთავის წყალი''-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. რუსთავის

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი